№ 125 თიბათვე 17, შაბათი — 1889 — თიბათვე 17, შაბათი № 125

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში [illegible] სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისი, 16 თიბათვე

ნაპოლეონ III-ის რეჟიმსა და ახლად ფეხ-ადგმულს საპარლამენტო წესებს საფრანგეთში თან ერთი ისეთი სენი მოჰყვა, რომლისაგანაც ეხლა ძლივ-ძლივობისას ირჩენს თავს ეს ქვეყანა. ეს სენი იყო სიყვარული ლაპარაკისა, სიტყვისა, მჭევრ-მეთქვობისა და თავის მორიდება საქმისა, მუშაობისა და პრაქტიკულის მოქმედებისა. ერთ ხანად მხოლოდ სიტყვამ, ლაპარაკმა, ლიტონმა მეტყველებამ შთანთქა გონება და გრძნობა ფრანგისა, რომელიც ორატორობის გარეშე, ლამაზ-ლამაზ სიტყვებს იქით საქმის ვეღარა ჰხედავდა, მოქმედებას ვეღარ პოულობდა და ქვეყნის აშენებისა და მართვა-გამგეობის საქმეს გაკეთებას მხოლოდ ცარიელის სიტყვით ლამობდა. უსაქმურობის წამქეზებელმა და ერის გამრყვნელმა მეორე იმპერიის წესწყობილებამ უსაქმურობას, ჩხირკედელაობას შეაჩვია ხალხი. ამ სახით ახლად დაარსებულს რესპუბლიკაში ადვილად გამოჩნდნენ დიდძალი მოლაპარაკენი, რომელნიც შეუჩვენებლივ ლაპარაკობდნენ, ლაქლაქობდნენ გარედ თუ სახლში, ქუჩაზე თუ რესტორანებში, კრება-ყრილობასა თუ პარლამენტში. მაშინვე დაიბადნენ საკვირველნი ოსტატნი სიტყვისა და ორატორობისანი, ბუმბერაზნი მჭევრმეტყველებისანი, ახალი ციცერონები და დემოსთენები. ამ ამბით აიხსნება ის უეჭველი გარემოება, რომ საფრანგეთისთანა ბლომად არც ერთს ქვეყანას არა ჰყავს მჭევრმეტყველნი მოლაპარაკენი და სიტყვის კაცნი. ვინც-კი თავს მოექცეოდა საფრანგეთში, უთუოდ ლაპარაკის ნიჭით, ორატორობის ღირსებით. და ვინც უფრო მოხერხებული იყო ამ შემთხვევაში, ვისაც უფრო ენა მარჯვე და მახვილი ჰქონდა, ის უფრო მალე აიწევდა მაღლა, წამოუყელუყელავდებოდა ცხოვრების მორევში და დაიჭერდა ადგილს მაღლა თაროზე. მაგრამ სიტყვისა და ლაპარაკის ხანამ დიდხანს არ გასტანა. ქვეყანა მალე მიხვდა, რომ ცარიელის ლაპარაკით, სიტყვების ჯახა-ჯუხითა და ტკრციალით ბევრი არა გაკეთდებოდა-რა, ქვეყანა არ აშენდებოდა და არ გამდიდრდებოდა. რაკი საპარლამენტო და სარესპუბლიკო წესებმა ფეხი მოიკიდა, რაკი ქვეყანა მიეჩვია თავის საქმეების მართვასა და გამგეობას, საქმეს ფასი დაედო. მაშინ ფრანგები მიხვდნენ, რომ სიტყვას საქმეც უნდა მოჰყვეს, მოქმედებაც უნდა შეუდგეს და კარგის ნათქვამის აღსრულება დიდს მუშაობას, დაუღალავს მხნეობას ითხოვს თავის განხორციელებისათვის. ამ აზრის მიხვედრამა და შეგნებამ დაჰბადა ახლა მოსაქმენი, კაცნი საქმისა და მოქმედებისა, პრაქტიკულის მოღვაწეობისანი. თუ წინად საცა ქვას ფეხს წამოჰკრავდი, მაშინვე ორატორი და მჭევრმეტყველი წამოხტებოდა საფრანგეთში, ახლა ისეთმა ხალხმა იმატა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავის თავისაგანაცა და სხვებისაგანაც ითხოვს საქმეს, მუშაობას, გარჯას და არა სიტყვებს, ლაპარაკს, მჭევრმეტყველობის შუშხუნებსა და თვალის წარმტაც ელვა-შექას...

ეს გარემოებაა მიზეზი, რომ საფრანგეთის დღევანდელ საპოლიტიკო მოღვაწეთა შორის მხოლოდ იმასა აქვს მოპოვებული ნდობა და სიყვარული ქვეყნისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, უფრო იმას ირჩევენ და იმას აყენებენ სახელმწიფოს თავში, ვისაც მოსაქმეობა უყვარს, ვინც დაამტკიცა, რომ სიტყვა სიტყვაა და საქმე-კი სხვაა. ფერრი, ფრეისინე, ფლოკე, ტირარი, რუვიე, კლემანსო, კონსტანი, სპიულერი, გობლე, ლაკრუა და ბევრნი კიდევ სხვანი—აი ჭრელი სია იმ მოღვაწეებისა, რომელთა შორისაც ირჩევდა და ირჩევს ხოლმე საფრანგეთის ერი თავისს მეთაურებს, თავის ქვეყნის გამგებლებს. ამათში იმას უფრო დიდხანს ჰქონია ნდობა, უფრო დიდხანს სჭერია ადგილი მინისტრისა, თუ მთავარ-მინისტრისა, ვისაც უფრო საქმიანობა გამოუჩენია, ვისაც უფრო დაუმტკიცებია, რომ ცარიელს ლაპარაკს, სიტყვების რახა-რუხს არ ეტაცებინება და გულ-დადებით მუშაობს, საქმობს, აკეთებს, რაც ჩაუბარებიათ, რაც მიუნდვიათ. ფერრიმ სამ წლამდე გასძლო სამინისტროს მოთავედ, ფრეისინემ—ორ წელზე მეტი, რუვიე დიდხანს იყო სამინისტროში ხან მთავარ-მინისტრად, ხან საპარლამენტო კომისიის წევრად, აგრეთვე ტირარი, აგრეთვე ფრეისინე. მაშინ-როდესაც ბევრნი ხუთსა და ექვსს თთვეს ძლივსა სძლებდნენ მთავარ-მინისტრად, ზოგი ორ თთვესაც ვერ იჭერდა თავს და შესანიშნავმა სამინისტრომ გამბეტასამ—ამ სახელოვანის ენა-მჭევრის ორატორისამ,—ესრედწოდებულმა grande ministére-მ, მხოლოდ ორი თთვე იცოცხლა. რათა? რათა და მათა, რომ ის შეიქმნა დიდხანს ღირსი სხვა-და-სხვა პორტფელისა, ვინც დიდი მხნეობა გამოიჩინა. ფერრი, მაგალითად, რომელიც ისე ძალიან ეჯავრებათ დღეს ფრანგებს, სულითა და გულით მიეცა საერო განათლების საქმეს და ხელახლად მოაწყო, ააგო და ააშენა ისეთი საშვილიშვილო და დიდმნიშვნელობიანი შენობა, რომელსაც დღეს ეწოდება საფრანგეთში «საყოველთაო, მუქთი და ყველასათვის სავალდებულო განათლება». ამ საქმეს დაუდო გული ფერრიმ, ამ საქმეში მუშაობდა მხნედ და დაუღალავად და ქვეყანამ დაუფასა ასეთი მისი ღვაწლი. ფრეისინეც საქმის კაცია და არავითარს ისეთს სჯა-გამათობაში არ ერევა, საცა ხშირად ცარიელის ლაპარაკის მეტი არა გამოდის-რა. როცა პარლამენტში დას-დასობის ხასიათის გამათობაა მოსალოდნელი, ფრეისინე არ მიდის კრებაზე, ხოლო როცა მართალი და ნამდვილი საქმეა განსახილველი, მხოლოდ მაშინ მიდის და გულ-მხურვალედ ლაპარაკობს. უამისოდ ზის თავისს ოთახში და სამხედრო მინისტრობის მოვალეობაშია ჩაღრმავებული; ზის და მუშაობს, რომ საფრანგეთის ჯარი და მხედრობა გაწვრთნოს უმაღლესს ხარისხამდე. ასეთივე საქმიანია, ასეთივე მუშა კაცია რუვიე. იმისი სამუშაო სფერაა ფინანსები და მართლაც ამის ხელში საფრანგეთის ფინანსები უკეთესად არის მოწყობილ-განგებული. საქმის კაცის თვისებანივე აქვს ტირარს. აქამდე თუ ამბობდნენ, რომ ფრანგებს საქმე არ უყვართ, ლაზღანდარანი არიან, მძიმე მუშაობას ერიდებიან, საქმიანი კაცი იმათში იშვიათიაო, ახლა ამას ვეღარ იტყვიან. საფრანგეთს ამ მხრივ ახალმა სიომ დაჰბერა და, თუ აქამდე საქმიან კაცებს მხოლოდ ინგლისსა და გერმანიაში სძებნიდნენ, ახლა შეუძლიანთ საფრანგეთშიაც ბევრნი მოძებნონ. საფრანგეთშიაც ბევრნი აღმოჩნდებიან ისეთნი, თუ პოლიტიკასა და სახელმწიფო მოღვაწეობაში, თუ სამეცნიეროსა და თუ სხვა სფერაში, რომელნიც არ ჩამოურჩებიან არც გერმანიის დინჯსა და მძიმე მომუშავეს და არც მხნე და დაუღალავს ინგლისელ მოსაქმეებს...

გ. უ.

## ახალი ამბავი

*** გამოვიდა ერთი ახალი სახელმძღვანელო წიგნი, სახელად „მეგობარი“, მეორე წიგნი ანბანს შემდეგ სახმარებელი. წიგნი შედგენილია რ. ჯაჯანაშვილის მიერ და დაუბეჭდია წიგნის მაღაზიის პატრონს ზ. გრიქუროვს. წიგნი საკმაოდ სუფთად არის დაბეჭდილი, ცოტა ორიოდე წიგნში ჩართული სურათი რომ არ ამახინჯებდეს გამოცემას. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, სახელდობრ 159 გვერდი, რომელიც ათ კარად არის განყოფილი. პირველ კარს ეწოდება: შინ და გარეთ და ამ სათაურის შესაფერი წერილები, ლექსები და სავარჯიშოებია, მეორე კარს: სკოლაში, მესამეს: სახლის ცხოველები, მეოთხეს: თავლა, ბაკი და საქათმე, მეხუთეს: ნადირთ ცხოვრებიდამ, მეექვსეს: გარეული ფრინველები, მეშვიდეს: მწერნი და ქვეწარმავალნი, მერვეს: ბაღი, ბაღჩა და მინდორი, მეცხრეს: გზა და ქუჩა და მეათეს: წელიწადის

# ფელეტონი

### იალბუზის გარშემო

(დასასრული *)

9 დილით თელტობის ქედს შევუდექით. დილითვე გაუშვით ერთი სვანი კუტა კვანჭიანი სანადიროდ. როდესაც ჩვენ ქედი ავიარეთ და იმის თავზე ავედით, კუტა იქ დაგვხვდა. იმას ერთი არჩვი მოეკლა და გვერდით ედვა გაუტყავებელი. გაგვეხარდა, რადგან დასაკლავ ცხვრებიდგან ერთი და დაგვრჩენოდა მარტო. ჯ—ძემ მონადირეს მანეთი აჩუქა. არჩვი მსუქანი იყო. ეს იყო იმ დღეს ჩვენი სადილი. ჩავიარეთ თელტობის დალმართი, ვსჭამეთ სადილი და მერე ისევ სხვა ქედს შევუდექით. ამ ქედის თავზე ორი კაცი დავინახეთ. სვანებმა სთქვეს: ესენი ჯოგების ყარაულები არიან, გაკეთდა ჩვენი საქმე, სჩანს ახლო-მახლო ჯოგებსაც შევხვდებითო. სამი სვანი წინ გაუშვით ამ კაცებთან, რომ მთელი ქარავანი ერთად არ დაენახვოდით, არ შეგვეშინებინა. რომ არ გაჰქცეოდნენ, სვანებმა ისე შემოუარეს ამ ორ კაცს, რომ ვერც-კი შეიტყეს, სანამ არ მიუახლოვდნენ. როდესაც მივიდნენ ახლო, ორმა კაცმა თოფი დაუღირა, ახლო არ მოხვიდეთ, თორემ თოფებს გესვრითო. სვანები ჩამოხდნენ და ლაპარაკი დაუწყეს. ამასობაში ჩვენც მივედით ახლო. როგორც-კი დაგვინახეს, ერთი კაცი მაშინვე თოფს მივარდა, სვანებს ესროლა და გავარდა. მეორეც გაქცევას აპირებდა, მაგრამ სვანებმა თოფები მოიმართეს—არ გაინძრე, თორემ მოგკლავთო, და საცოდავი დაჰნებდა. დაიჭირეს, მოიყვანეს ჩვენთან. ესენი აღმოჩნდნენ ორი მწყემსი, ორივე აფხაზი. ერთს თხის ჯოგი ახლო ეყენა. ვკითხეთ, ვის სად უყენია კიდევ ჯოგიო, და გვითხრა, რომ ექვსიოდე ჯოგი ამ არე-მარეში უდგიათო. გავგზავნეთ ექვსი სვანი ამ ჯოგების საძებნელად. ჩვენს ტყვეს-კი, რომ არ წაგვივიდესო, ბაწარი მოაბეს წელზე და თავის თხის ჯოგით თან წავიყვანეთ. ღამე „ლარა-კვაკვას“ 1) უდაბურს ტყეში დავდექით. მწყემსის უკითხავად იმის ჯოგიდგან ორი თხა დავკალით. ექვსი სვანი გვიან დაბრუნდა ჩვენთან. ვერც ერთი ჯოგი ვერ ენახა. კინაღამ შეჭმა მოუნდომეს საცოდავს აფხაზს, მოგვატყუაო, ნამდვილად არ გვაჩვენა, ვის სად უდგია ჯოგიო. ნავახშმევს უდაბურის ტყიდამ სტვენა-კივილი გვესმოდა. ჩვენ მივხვდით, რომ ეს კივილი ჩვენის ტყვეს ამხანაგისა იყო. ვეხვეწეთ, ხმა გაეცა, ერჩია აქ მოსულიყო და ჩვენთან გაეთია ღამე. გვეშინოდა უბედურს არაფერი ხიფათი მოსვლოდა ტყეში. პირველად ვერ მოვანდომებინეთ ჩვენს ტყვეს. იგი ჰფიქრობდა ალბად, ტყვედ მეც ვკმარვარ და ჩემი ამხანაგი კიდევ რაზე ჩავუგდო ხელში ამ ულმერთო კაცებსაო. ბოლოს, როგორც იყო, ხმა გავაცემინეთ. გააბეს ერთმანეთში აფხაზურად ლაპარაკი. ვიჩის სიტყვით, გაქცეული ამბობდა, რომ მე ჩემს ამხანაგსაც ვერ ვენდობიო. როგორც იქმნა, მოვიტყუეთ. საცოდავი ხანავი იყო. საბრალოს ტყეში ნახლიჩნები ჩოხა-შალვარი სულ შემოფლეთოდა; ფეხ-შიშველას დაკაწრულ კანჭებიდამ სისხლი სდიოდა. ყაბალახი დაეკარგა, თმა აჰბურძგოდა, თვალები სისხლით ავსოდა, ერთის სიტყვით, ველურის კაცის სახე ჰქონდა. გვიანობამდე არ დამშვიდებულა ეს საცოდავი, რალაცას თრთოდა და საცოდავად გადმოგვხედავდა ხოლმე სისხლით სავსე თვალებით, თითქო უნდოდა მალე შეეტყო: შევსჭამთ თუ არა ამ უბედურს. რაღა ამ საბრალოს ყოფნა ჩვენს ხელში და რაღა ევროპიელ მკვლევარისა აფრიკის ველურ ხალხების ხელში! როდესაც მოვიდა, საჭმელი—პური და ხორცი მივაწოდეთ. რამდენიმე ლუკმა ძლივს ჩაუშვა ყელში. ყოველ ლუკმის პირში ჩადებაზე თვალს გადაგვავლებდა. ამ აფხაზის შეხედვამ წინ წამომიყენა აფხაზეთის წარსული და ეხლანდელი მდგომარეობა. რა იყო ეს, სვანურის სიმღერის სიტყვით, „ლუჯუჰე“ (მდიდარი) აფხაზეთი მეცხრე საუკუნეში, როდესაც მისნი მეფენი მთელის საქართველოს მპყრობელნი იყვნენ, და რას წარმოადგენს დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, ეს საცოდავი ქვეყანა? მართლა რომ აფხაზეთზეა გამოჭრილი: sic transit gloria mundi!

მეორე დღეს აფხაზებს ვუთხარით, ერთი ჯოგთან დარჩენილიყო და ერთი ჩვენ გაგვყოლოდა და ჯოგების ადგილ-ბინა ეჩვენებინა. სანამ ჯოგებს არ გვაჩვენებ, მანამ შენც დაჭერილი იქნებიო, უთხრეს აფხაზს. აფხაზმა ჯოგები გვიჩვენა ათ ადგილას. ათად გაიყვნენ სვანები და საბალახოს ასაკრებად წავიდნენ. ჩვენთან მარტო ორი სვანი დარჩა. საღამოს ერთ ადგილას უნდა მოგვეყარა თავი. მწევარ-მეძებრებით მოედვნენ სვანები ტყე-ველს. ხან მარჯვნივ გესმის ერთი ყაყანი ხეობაში სვანებსა და მეჯოგეებს შუა, ხან მარჯვნივ, მეჯოგეები ნებით არ იძლევიან საბალახოს, სვანები ძალას ხმარობენ. ხან ერთი დასი სვანებისა მოიყვანს ცხვრებს, ჩაგვაბარებს და მერე ისევ სხვა ჯოგის საძებრად მიდის, ხან მეორე და ხან მესამე. ამ ამბავმა გასტანა 10—14 სექტემბრამდე. დავეხეტებოდით უგზო-უკვლოდ, წალმა-უკუღმა და ვერასოდეს სვანებს თავი ვერ მოვუყარეთ. მხოლოდ 14 ნასადილევს მოგროვდნენ ყველანი და

*) იხ. „ივერია“ №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 114, 115, 118, 123 და 124.

1) კვაკვა სვანური სახელია კაცისა; ლარა-კვაკვა—სათიბი კვაკვასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრონი. ფასი წიგნისა—შვიდი შაური არ არის ძალიან დიდი.

*** გუშინ, 16 ივნისს, დილის ხუთ საათზე ტფილისიდამ გაემგზავრა საზაფხულოდ მანგლისს პანსიონი ტფილისის პირველის გიმნაზიისა. მანგლისს მიდიან შეგირდები დღეს, 17 ივნისს.

*** წელს კავკასიის სტიპენდიაზე წარუდგენიათ ხუთი მოწაფე მერვე კლასის კურს-დასრულებული 1-ლ გიმნაზიაში: სახელდობრ, შენგერი, როსტომიანცი, მონინი, ტუმაჯიანცი და გნედკოვი. ამათ გარდა მიიღეს ერთ ხანად შესაწევარი შმიდტმა, ტუმაჯიანცმა, გნედკოვმა, იაკოვლევმა და ისარლოვმა ოც-ოცი თუმანი გიმნაზიის საზოგადოებისაგან, რომელიც შეუძლებელ შეგირდების დახმარებისათვის არის დაარსებული. როდზევიჩმა-კი მიიღო ათი თუმანი.

*** მუშტაიდში შეიპყრეს რაჭველი ნიკო ხუციშვილი, რომელსაც დაჰბრალდა ოლქის სასამართლოს წევრის სადგომიდამ 125 მან. ნივთების მოპარვა და რომელსაც თვეზე მეტია დსდევდა პოლიცია.

*** მაისის განმავლობაში ტფილისის ბაზრებში შემოსულა სულ 765 ტომარა ფქვილი და 2060 ტომარა ქერი. აქაური ფქვილი იყიდებოდა ფუთი ექვს აბაზად, მანეთ და სამ შაურად და მანეთად და ერთ შაურად, ღირსების დაგვარად. ქერი—თხუთმეტ შაურად და ოთხ აბაზად და ერთ შაურადაც, დროს დაგვარად. სხვილ ფეხი საქონელი იმ თვეში შემოურეკიათ 3790 ცალი და გაყიდულა თითო ორ თუმან ნახევრიდგან ხუთ თუმან ნახევრამდე. ცხვარი შემოურეკიათ 5830 ცალი და გაყიდულა ოთხ მანათიდამ ექვს მანათამდე. თივა იყიდებოდა ამ ხანში ფუთი ექვს შაურადა და ორ აბაზად. შეშა იმ თვეში შემოსულა 3350 ურემი და თითო ურემი სამიდამ ხუთ მანათამდე გაყიდულა.

*** ამ წელს ტფილისის ქალთა გიმნაზიაში გაათავა მეშვიდე კლასის კურსი სამოც-და-ერთმა ქალმა, რომელთაგან ოთხმა მიიღო მედლები: ერთმა ოქროსი—ქ. ზიკოვისამ და სამმა ვერცხლისა—ქ-ზმა ფონდოევისამ, პრიპუტნევისამ და ნედოსვიატიევისამ. ბევრი წილი ამათგანი, როგორც გავიგეთ, რჩება მერვე კლასში, მხოლოდ ამ წელს არც ერთი ქალი მერვე კლასის კურს-დასრულებული არ მიდის რუსეთის უმაღლეს ქალთა სასწავლებელში შესასვლელად.

*** ქუთაისში უკვე დაიწყო 14 ივნისს სასამართლომ გარჩევა იმ საქმისა, რომლითაც ზოგიერთთ ჰბრალდებათ ყალბის საბუთის ქაღალდებით ქუთაისის ხაზინიდგან ფულის გამოტანა. სასამართლოში თავ-მჯდომარედ არის ტფილისიდგან წასული ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ფრანცევი, სასამართლოს წევრებად—წევრი ტფილისისავე პალატისა მალინოვსკი და წევრი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი ბლავატსკი. ბრალმდებელად არის ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგი კილშტედტი.

დამნაშავეა სულ რვა სული: ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის ბუხჰალტერი პ. ფედოროვი, საქმეთა მწარმოებელი სერგეი სპიროვი, მდივანის თანამდებობის აღმასრულებელი მ. მატვეევი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის რეგისტრატორი ფ. რატჩენკო, ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელე ა. ტიმოფეევი, ა. დიბუაძე, აზნ. ი. ჭუმბურიძე და ნინო სპიროვისა (ტერმინისა). ბრალდებულნი, ნინო სპიროვის გარდა, ყველანი დაპატიმრებულნი არიან.

დამნაშავეთ დამცველებადა ჰყავთ: სპიროვს, ფედოროვს, რატჩენკოსა და მატვეევს—ნაფიცი ვექილი პოზედაში, ტიმოფეევსა და ჭუმბურიძეს—ნაფიცი ვექილი ჩიკვაიძე, ქ-ნ სპიროვისას—კერძო ვექილი ხარნსკი, დიბუაძეს—ლუარსაბ ლოლუა. სამოქალაქო მომჩივნებად არიან საგუბერნიო მმართველობისაგან მოხელე გამრეკელი, სამხედრო-საერო გამგეობისაგან—პიატაკოვი.

*** რაჭა: 10-ს ამ თვისას ქვემო რაჭაში იყო ნიაღვრები, რომელმაც იმსხვერპლა, ყანებსა და ვენახებს გარდა, მარნები თავის მოწყობილობითურთ, წისქვილები და ორი კაცი. ნიაღვართან სეტყვა ეწვია სადმელს, კვაცხუთს და მირაგეულს. წესში დაიტაცა წისქვილები, გააფუჭა ხიდები და სადმელში სოფლად ისეთი წყალი მოვარდა, რომ ორი კაცი დაარჩო. ამავე ხანებში სოფელს შაგრს მოხდა ერთი უბედურება. თურმე როცა ძლიერი ჭექა-ქუხილი ასტყდა, ორმა კაცმა უდიდეს ხეს მიაშურა თავის შესაფარავად. სწორედ იმ ხეს დაეცა მეხი და ორივეს სული გაანთხევინა.

*** გაზ. „ახალს მიმოხილვაში“ დაბეჭდილია კორრესპონდენცია გროზნიდგან, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ერთი ახალი ამბავი ჩვენში კიდევ ის არის, რომ გვეწვია ქართულის დრამატიულის დასის არტისტი ალექსი-მესხიშვილი. ჩვენი საზოგადოება ისე ხშირად უტყუებიათ სხვა-და-სხვა მოსულ არტისტებს, ისე იშვიათად ჰღირსებია საუკეთესო არტისტთა თამაშობის ნახვა, რომ ალექსი-მესხიშვილის მოსვლა ყველას ეამა და ესიამოვნა. თავისის მშვენიერისა და გონიერის თამაშობით საერთო თაყვანისცემა დაიმსახურა ბ-ნმა ვ. ალექსი-მესხიშვილმა და დიდ-ძალი საზოგადოებაც მიიზიდა. საინტერესოა, სხვათა შორის, შემდეგის ამბის აღნიშნვა: როცა წარმოადგინეს (რუსულად) ჯიოკომეტის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავის ოჯახი“, ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი თამაშობდა უმთავრესს როლს კორრადოსას, ხოლო დანარჩენი როლები განაწილებული ჰქონდათ აქაურსავე სცენის-მოყვარეთ. ამ დრამის მე-V მოქმედების უკანასკნელ სცენის დროს, როცა მოწამლული კორრადო კვდება, იმასთან მოთამაშე სცენის-მოყვარე ქალმა, ემმას როლის აღმასრულებელმა, ველარ აიტანა მომაკვდავ კორრადოს ყურება და ისტერიული ქვითინი აუტყდა. თეატრის დარბაზში ამავე დროს გაისმა ყვირილი: „მიეშველეთ, მოჰკლეს, მოჰკლესო!..“ მაშინვე ექიმი იქმნა მოწვეული. არტისტი ალექსი-მესხიშვილი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებინა თამაშობისთვის, მისულიყო შეშინებულ ქალთან და დაერწმუნებინა, რომ სრულიად ჯანსაღი ვარ და არავის არ მოუკლივარო. მოწვეულს ექიმს იმავე დროს სხვა ავადმყოფიც გამოუჩნდა, რადგან სწორედ ამ დროს ქალების მოსართავ ოთახში მიიყვანეს ვიღაც მომაკვდავ კორრადოს ნახვით გულ-წასული დედაკაცი“.

◆◆

## მთავრობის განკარგულებანი

წევრს ტფილისის სამოსამართლო პალატისას, კოლლეჟსკი სეკრეტარს ბ ა კ ა ლ ო ს, ებოძა სტატსკი სოვეტნიკობა და ამასთანავე დანიშნულ იქმნა ერევნის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ; უფროსი ნოტარიუსი განჯის ოლქის სასამართლოსი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ფ ე დ ო რ ო ვ ი, დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსად.

9 აპრილს 1889 წლისას ებოძათ სამღვდელოების წევრთ: ო რ დ ე ნ ი წ მ. ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს ა მე-3 ხ ა რ ი ს ხ ი ს ა დეკანოზს ქ. ბათუმის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისას, სიმონ ქ ი ქ ო ძ ე ს.

ო რ დ ე ნ ი წ მ. ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს ა მე-4 ხ ა რ ი ს ხ ი ს ა: ქ. ტფილისის ფერის-ცვალების მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს კ ე ს ა რ ი ო ს ს; ტფილისისავე სამების ეკკლესიის დეკანოზს ნიკოლოოზ ა რ დ ა ზ ი ა ნ ს; კავკავის ფერის-ცვალების ტაძრის დეკანოზს იოილ ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ს.

ო რ დ ე ნ ი წ მ. ა ნ ნ ა ს ი მე-2 ხ ა რ ი ს ხ ი ს ა: წინამძღვარს ქვაბთახევის მიძინების მონასტრისას, არხიმანდრიტს ნ ი კ ო ლ ო ო ზ ს; ქ. ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის დეკანოზს რაჟდენ გ ი გ ა უ რ ს.

ო რ დ ე ნ ი წ მ. ა ნ ნ ა ს ი მე-3 ხ ა რ ი ს ხ ი ს ა: თელავის მაზრის სოფ. შილდის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელს დიმიტრი ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ს; გორის მაზრის დისევის ეკკლესიის მღვდელს გაბრიელ ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე ს; წინამძღვარს შემოქმედის მონასტრისას არხიმანდრიტს ა მ ბ რ ო ს ი ს.

ო რ დ ე ნ ი წ მ. ა ნ ნ ა ს ი მე-2 ხ ა რ ი ს ხ ი ს ა: დეკანოზს მე-156 ქვეითა განჯის პოლკისას ესტატე ხ უ ც ი შ ვ ი ლ ს.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ ამ ორიოდე სიტყვას მცირედი ადგილი უბოძოთ თქვენის გაზეთის ფურცლებზედ. 13 ამ თვეს, სამშაბათისათვის, მიხეილის ბაღში დანიშნული იყო „ქართულის ხოროს ამხანაგობის“ კონცერტი. რადგან ეს კონცერტი ბ-ნ რატილის ლოტბარობით იყო გამოცხადებული და პროგრამაც მთლად ჩვენის სამღერებიდგან შესდგებოდა, ბევრს ეგონა, რომ თვით კონცერტიც პირდაპირ ჩვენის მონაწილეობით იქნებოდა გამართული. ამისათვის მოვალედა ვრაცხთ ჩვენს თავს დავარწმუნოთ მარად პატივცემული ჩვენი საზოგადოება, რომ ჩვენ იმ გამოცხადებულ ამხანაგობასთან არავითარი კავშირი არა გვაქვს და მიხეილ-ვასილის ბაღებში კონცერტების გამართვა ფიქრადაც არ მოგვსვლია, მით უმეტეს, რომ ყოველ წლივ ზაფხულობით ჩვენის ხოროს საქმე შეყენებულია ხოლმე.

ვლ. აღნიაშვილი

14 თიბათვე 1889 წ.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ლეჩხუმის მაზრა. როგორც სხვა კუთხეები ჩვენის საქართველოსი, ლეჩხუმიც დაყოფილია სამამასახლისოებად. თითო სამასახლისოში ირიცხება ათი თორმეტი სოფელი. სოფელში ითვლება 60—120 კომლამდე კაცი. სულ ლეჩხუმში 12 სამამასახლისოა: დერჩისა, ალპანისა, ჰქვიშისა, ლაილაშისა, ორბელისა, დეჩვირისა, ლუხვანოსი, ოყურეშისა, ნაკურალეშისა, ლენტეხისა, ჩოლურისა და ლაშხეთისა. რაიცა შეეხება ამ უკანასკნელს, ეს სამამასახლისო ეკუთვნის სვანეთს, მაგრამ ლაშხეთი მაინც ლეჩხუმის მაზრის უფროსის უწყება-გამგეობაშია. თითეულ ამ სამამასახლისოში, მართებლობის დახმარებით, დაარსებულია სკოლები; მხოლოდ სამს უკანასკნელს სამამასახლისოში არ არის სასწავლებელი.

წელს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სოფლის სკოლების დირექტორმა ბ-ნმა ლევიცკიმ დაიარა ლეჩხუმის მაზრის სკოლები და სამწუხაროდ ბევრი ნაკლებულება აღმოაჩინა. რამდენიმე სკოლა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სკოლის შენობა მეტად დაძაბუნებული იყო და თითქმის წაქცევაზე მიმდგარი; კარები და ფანჯრები გაფუჭებული და

---

დავთვალეთ ბეგარად აკრეფილი ცხვრები. იმისი რიცხვი ასს გადაემეტა. ეს უნდა მიერთმია კომისიას თენგიზისათვის.

საღამოს ჟამს ოხაჩკეს მივედით და ბინის ძებნას შევუდექით. წყალი აქ ძვირია და წყლიანს ადგილს ვეძებდით. ამ დროს ერთმა სვანმა ღელეში და მალული ჯოგი დაინახა. მისცვივდნენ სვანები. გვესმის სვანებისა და მწყემსების ჩხუბი, ჯოხების ჩახა-ჩუხი. შევჩერდით. მწყემსები დავუძახეთ. ჯ. უბრძანა ბეგარა მიეცათ. მწყემსებმა უთხრეს, რომ ეხლა ღამეა და რა ნაირად დასთვლიან ცხვრებს, ხვალ მოვიდნენ და მივცემთო. სვანები არ დაჰყაბულდნენ: ამაღამ ჯოგს სხვაგან გააპარებენ და ხვალ ვერსად ვნახავთო. მოსდევს მთელს ჯოგს ხელი და მწყემსებიანად გამორეკეს ჩვენს ბინაზე. ჩვენ დავბინავდით ოხაჩკეს, ტყის თავში. აქ აყროლებული გუბე იყო და ეს უნდა გვეხმარა წყლად. მწყემსებმა სთქვეს, რომ ახლო მახლო წყალი არსად არ იშოვებაო. ავადუღეთ წყალი ჩაისთვის. ისეთი მყრალი აღმოჩნდა გუბის წყალი, რომ ჩაი პირში ვერავინ ჩაუშვა. ამ წყლით მოხარშული ხორციც გადასაყრელი გაგვიხდა. მარტო ორმა-სამმა დამშეულმა სვანმა მიაკარა პირი ამ ხორცს. მწყემსები ჩვენთან დავაწვინეთ და დავამშვიდეთ, რომ კანონიერ ბეგარას გარდა არაფერს გამოგართმევთო. დავწექით. როგორც-კი თვალი დავხუჭეთ, ერთი მწყემსი თურმე მაშინვე გაშპა სამურზაყანოს, ხალხს შეატყობინა, რომ სვანები დაგვეცნენ და ჯოგები წაგვართვესო. მოწყდნენ სოფლელები და ჩვენკენ გამოსწიეს იმ ღამესვე. მეორე დღეს თავ. ჯ—ძე ჩვეულებრივ ადრე ადგა და როდესაც წამოიძახა: „ადექით, თქვე ოხ...“, უკანასკნელი სიტყვა არც-კი ჰქონდა გათავებული, რომ ირგვლივ ერთი კიჟინა მოისმა. ავცვივდით ყველანი და რა დავინახეთ: ირგვლივ შემოგვერტყმია 300-მდე დაიარაღებული სამურზაყანოელი და თოფები ყველას ჩვენკენა აქვს მოღერებული. ჩვენს თვალებს არ ვუჯერებდით ამ სანახაობას. მივათვალმოვათვალიერეთ და ერთი მწყემსი აღარ იყო ჩვენთან. მივხვდით რაშიაც იყო საქმე. ჯ—ძე მეორე მწყემს მიუბრუნდა და ცოტა დაბალის ხმით ჰკითხა: ეს რა გიქნიათო? მწყემსს ამ ჟამად გული საგულეს ედვა და ამაყად მიუგო: მაშ რა გეგონათ, ერთს არ გაგიშვებთ აქედამ ცოცხალსაო! ხალხი სოფლიდამ მოდის და მოდის, კიჟინობს, ყვირის, გვემუქრება დახოცვას. მოლაპარაკება გვინდა, გაგონება არ უნდათ. ვცადეთ მიახლოვება ხალხთან სალაპარაკოდ, ხალხმა თოფები გვესროლა. ვხედავთ, ცუდად არის საქმე და არ ვიცით რა მოვაგვაროთ! დავსხდებით, გვიყვირიან—ფეხზე ადექითო, და თუ მალე არ აასრულეთ იმათი ბრძანება, თოფებს დაგვიშენენ; ავდგებით — დასხედითო, გვიყვირიან. ამ მდგომარეობაში გავატარეთ სწორედ ორი საათი. მერე სალაპარაკოდ დავიყოლიეთ. ვუთხარით, რომ წაიყვანეთ თქვენი ჯოგი, არ გვინდა საბალახოო. ჯოგი მიჰყავთ. ეხლა გაგვიშვითო. უარი ხალხისაგან: ეხლავე დააბრუნეთ ის ცხვრებიც, რომელიც სხვა მეჯოგეებისთვის გამოგირთმევიათო. ვაძლევთ ამასაც. აღარც ეხლა გვიშვებენ. გვიყვირიან, ამავე ადგილას უნდა დაგხოცოთ შიმშილ-წყურვილითაო. ფულს ვაძლევთ სახსრად, არ მიაქვთ. ჯ. ეუბნება: ხომ დაგვიჭირეთ, თქვენი ტყვე ვართ, წაგვიყვანეთ სახლში, ან ოქუმშიო, მაგრამ ხალხი მაინც თავისას გაიძახის: არა და არა, აქ უნდა მოგკლათ შიმშილითაო. უნდა გენახათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ამ დროს სვანები! რამდენჯერმე სთხოვეს ჯ—ძეს, გაეშვა იგინი ხალხთან და იმედს იძლეოდნენ ფიცით, რომ ეხლავე გარეკავენ ყველას, მაგრამ ამაზე არც ჯ—ძე და არც სხვა ჩვენთაგანი არა ყაბულდებოდა. ყველას გვეშინოდა სისხლის ღვრისა და ისიც ვიცოდით, ვინ აგებდა ამაში პასუხს. აღელვებული სვანები-კი კბილებს აკრაჭუნებდნენ და ამბობდნენ თავისთვის: რაღა პირით მივიდეთ ამის შემდეგ სვანეთს, ან როგორღა გამოვჩნდეთ სამურზაყანოში. საუკუნოდ მოგვჭრეს კისერი, დაგვასხეს თავს ლაფი და ეს არისო. პირველი საათია დღისა. პაპანაქებაა უშველებელი, ვდგევართ ამ აყროლებულის გუბეს ნაპირზე, წყურვილით ვიხოცებით, თორემ შიმშილი ვილას ახსოვს. ხალხი ირგვლივ ხან გვიკიჟინებს, ხან დაგვცინის, ხან თავისთვის ოხუნჯობს. შეიქნა მესამე საათი. ამ დროს ღმერთმა გვიხსნა. ყარაჩადამ გზად გამოიარა ყვაჯი შარვაშიძემ [2], მივიდა ხალხთან და გაიგო რაში იყო საქმე. შემდეგ ჩვენთან გამოსწია. ყვაჯი ჯ—ძის ნაცნობი აღმოჩნდა. ცხადია, გაგვეხარდა. ყვაჯიმ გაიგო, რომ ჩვენ კომისია ვიყავით. ძლიერ ეუცხოვა კომისიის ამ გვარი ქცევა და ჯ—ძეს ბევრი მკვახე სიტყვა უთხრა. თქვენ, უთხრა ყვაჯიმ ჯ—ძეს, სამეგრელოში ნამსახური ხართ და როგორ მოგივიდათ ეს, რომ თენგიზისთვის ცხვრებს აკრეფინებთ კომისიასაო. თქვენ-კი არა და უგუნურს ნუ აქნევინოს ეს საქციელი ღმერთმაო... მივიდა ხალხთან და უთხრა დაშლილიყვნენ. ხალხს უარი არ უთქვამს და ამ ნაირად ყვაჯი შეიქმნა ამ გაჭირებისაგან ჩვენი მფარველი და მხსნელი. აქედამ ჩვენი გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იდევა, ოხაჩკეს ფერდზე. ჩვენ უნდა მივსულიყავით ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე აგარაკს „ტყაბედნიერს“ [3]. ჩაიარა უქმად ათხის დღის ჩვენმა უგზო-უკვლოდ ხეტიალმა ჯოგების ძებნაში, ჩაიარა უქმად

---

[2] დღიურში გვარი არ მიწერია, მაგრამ, როგორც მახსოვს, შარვაშიძე იყო.

[3] მეგრული სახელია: ტყე-ბედნიერი.

დამტვრეული ჰქონდა, ასე რომ მასწავლებელი და ბავშვები იძულებულნი ყოფილან მთელი ზამთარი სიცივესა და ყინვაში გაეტარებინათ. ვერც სკოლები და სკამები გაეკეთებინათ ბავშვებისათვის ხეირიანი. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებისაგან დანიშნული ჯამაგირი მასწავლებლისა ერთობ მცირე ყოფილა, ასე რომ ეს ჯამაგირი საკმაო არ არის უუსაჭიროესი მოთხოვნილება იმისი დააკმაყოფილოს. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ზოგიერთ საზოგადოებაში მასწავლებელი არ იცდის ერთისა და ან ორის წლის მეტს. ვადის შესრულებისათანავე თავს ანებებს სკოლას და ეძებს სხვა რაიმე სამსახურს და ან მწესდება მღვდლად. საზოგადოება ხომ, რასაკვირველია, გულგრილად შეჰყურებს ყოველს ამას, თითქოს ეს იმისი საქმე არ არისო, თითქო სკოლის ავ-კარგიანობა იმას არ შეეხებოდესო. მე თითონ ვიყავი მოწამე ერთს სკოლაში, როგორც შესჩივლა მასწავლებელმა ბ-ნ ლევიცკის: ჯამაგირი ძრიელ ცოტა მაქვს და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მინდა დავანებო თავი ამ სკოლას და თან მენანება კიდეცაო. ეს მასწავლებელი, როგორც ლევიცკიმ გადმომცა და როგორც ვიცანი მეც, ერთობ რიგიანი ყმაწვილია და კარგადაც ასრულებს თავისს მოვალეობას. როდესაც ლევიცკიმ სთხოვა საზოგადოებას, თუ შეიძლება ჯამაგირი მოუმატეთ მასწავლებელსაო, ბევრმა, მოფიქრებისა და რიგიანის პასუხის მიცემის მაგიერ, ხმა-მაღლად შესძახა: „თუ არ უნდა, მიბრძანდეს, ჩვენ არც სკოლა გვინდა, არც მასწავლებელიო“. ამ გვარივე პასუხი მისცეს ამავე საზოგადოებაში მინგრეულ-მონგრეულის სასკოლო სახლის შეკეთების შესახებ, თუმცა ლევიცკი დირექციის მხრითაც დაჰპირდა ორას მანეთ შემწეობას.

ჩვენდა საბედნიეროდ, ორიოდე სკოლა გვარიან მდგომარეობაშია. ლუხვანის სკოლა მაინც უმიზეზოა: სახლი ამ სკოლისა ფართოა და კარგად მოწყობილი და მასწავლებელიც ჯამაგირით კმაყოფილია. ბავშვები 45-მდე ჰყავს, ამათ რიცხვში ქალებიც ურევია. ბავშვები კარგად გაწაფული და მომზადებულნი არიან. ქართული კითხვითა და ლოცვებით თავი გამოიჩინეს. ამ სკოლისა ლევიცკი კმაყოფილი დარჩა და მადლობა გადაუხადა მასწავლებელს.

აგრეთვე, როგორც გადმომცეს დამსწრეთ, ლევიცკი კმაყოფილი დარჩენილა ლაილაშის სამაზრო სასწავლებლისაც, რადგანაც დაუნახავს, რომ ყმაწვილები კარგად მომზადებულნი ყოფილან, და გადაუწყვეტია მომავალ წელში მეორე კლასიც მიემატოს ამ სასწავლებელსაო.

მკითხველი ჰხედავს, რომ უმეტესი ნაწილი სკოლებისა მაინც ვერა ყოფილა ხეირიანს მდგომარეობაში. მიზეზი ლეჩხუმელების გულგრილობა და დაუდევრობაა. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ის მოვლენაც, რომ ლეჩხუმელებს მხოლოდ ორი ყმაწვილი გაუზდიათ მაღალ სასწავლებელში: ერთმა წელს გაათავა უნივერსიტეტის კურსი და ერთიც იზრდება ეხლა ოდესსაში. საშუალო სასწავლებლებში ზრდიან მხოლოდ ოთხს ყმაწვილს.

დ. ნასპერელი

## ამბები ოსმალოს სომხეთისა.

გამოურკვეველი ამბები მოდის ოსმალოს სომხეთიდამ, ხშირად სულ ერთმანეთის წინააღმდეგი. ამის მაგალითად მოგვყავს შემდეგი ცნობები „არძაგანკისა“ და „მშაკის“ უკანასკნელ ნომრებიდამ. საზღვარ-გარეთის სომხური და უცხო ენის გაზეთები, ამბობს «არძაგანკი», ერთმანეთზე ზედ მიყოლებით გვაცნობებენ სამწუხარო ამბებს, რომელიც ხდება ოსმალოს სომხეთში ქურთის მოთავერეზე ავაზაკების თავის მუსა-ბეგის დარბევისაგან.

იმათის სიტყვით, მუსა-ბეგის თარეშობა და დარბევა ახალი ამბავი არ არის; დიდი ხანია ღვთის რისხვის მსგავსად ედება სომხების მოსახლეობას მუშის მაზრებისას. ამ კაცზე ერთხელ და ორჯელ არ შეუტანიათ სომხებს საჩივარი, რომლის გამოც ბევრჯელ დაუმწყვდევიათ სატუსაღოში, მაგრამ მალეც გამოუშვიათ. მოჩივრების მოთავეებში იყო არგავანის მცხოვრები ჰოსტე-ოჰანა, რომელიც სამის წლის განმავლობაში დადიოდა ოსმალოს მთავრობის წარმომადგენლებთან მუშს, ბაღეშს, კარნუ ქალაქს (აზრუმს), ტიგრანა-კერტს (დიარბექირ) და რომელმაც ამ დღენისათვის მუსა-ბეგი გადაიკიდა. ბაღეშიდამ დაბრუნებისას ოსტე-ოჰანა მთხოვარას ტანისამოსით ჩაცმული ჩამოხდა ქურთის სოფელ კოტნიში სოფლის მამასახლის ქურთთან. ამ დროს შემოდის მუსა-ბეგი და ტანისამოს გამოცვლილი ოჰანას სცნობს.

— სანთლით გეძებდი და ახლა ხელში ჩამივარდიო. ამ სიტყვებთან უბძანებს თავის კაცებს, ფიჩხის კონები მოიტანონ. მოაქვთ, აწყობენ, ზედ ხელ-ფეხ შეკრულ ოჰანასა სვენ და ქვემოდამ ცეცხლს უკიდებენ. მამასახლისი ფეხებში უვარდება მუსა-ბეგს, ეხვეწება შეიბრალოს ოჰანა, მაგრამ ყურს არ ათხოვებს. ბოლოს ეხვეწება: თუ მოკვლა გინდა, აგრე უწყალოდ ნუ ჰკლავ, ან ხანჯლით მოჰკალ, ან თოფითაო. ამასობაში ოჰანას დამწვარ გვამის სიმსუქნე ცეცხლს აქრობს; მუსა-ბეგი ხელ მეორედ შეშას ამატებინებს, ნავთს ასხმევინებს და აანთებინებს, სანამ გვამი ნახშირად არ იქცევა.

მუსა-ბეგი მარტო არა თარეშობს, გვერდით ჰყავს უმცროსი ძმა ჰეზონი, რომელიც უფრო თავ-გასული კაცია ავაზაკობაში. ეს ჰეზონი ახლათის მაზრის ერთ სოფლის მამასახლისს მიუხდა, დაარბია და შემდეგ მამასახლისი და იმისი შვილი მოჰკლა.

როდესაც მუსა-ბეგი მიუხდა სოფელ ვარდენისს, გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ჩხუბი აუტეხეს და მუსა-ბეგი თავის 500 ცხენოსანის თარეშით გააქციეს. სწორეთ ამ დროს მეორეს მხრით მუსა-ბეგის შვილი ჰეზონი 400—500 ცხენოსნით თავს ესხმის ცარიელს სოფელსა და სოფლის ნახირს ერეკება. ვარდენისის გლეხებმა თუ წინააღმდეგობა აღმოუჩინეს, იმ გარემოებას მიეწერება, რომ სოფელში 300 მოსახლეობაა სომხებისა. ამ სოფლიდამ ახლა გლეხები მინდორში ველარ გამოსულან და გაზაფხულს აქეთ ყოველ გვარი მუშაობა შეჩერებულია.

მთელს მუშის მაზრებში, ახლათში, ბულანუხში და მათ არე-მარეში, გზები ყველგან შეკრულია. მთელი დღე გაიელის, რომ ერთი სოფლიდამ მეორე სოფელში გაელილი მგზავრი ვერა ნახო. უცხო ადგილს მუშიდამ სამუშაოზედ გასული გლეხები ფულს ჰგზავნიან ცოლ-შვილის მისაწოდებლად და ფული მუშის ქალაქში რჩება, წამღები ვერ უპოვნიათ. ვინც გულადი გამოჩნდა, ქალაქიდამ ნახევარ საათის მანძილიც ძლივს გაიარა, მაშინვე გაძარცვეს. ბევრ ოჯახებიდამ მიუწერიათ თავის გასულ კაცებისთვის, რომ ფულის გამოგზავნით დიდს გაჭირებაში გვაგდებთო. სულ სხვა ამბავს ეკითხულობთ ახლა მეორე გაზ. „მშაკში“. ვანიდამ მაისის 27-ს 144 სომეხის ხელის-მოწერით გაუგზავნიათ ხონთქართან ტელეგრამა, რომლის შინაარსიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

„მწუხარებით შევიტყვეთ, რომ ამ ახლო ხანში ზოგიერთ უცხოეთის გაზეთში დაბეჭდილა ორ-აზროვანი წერილები ცილის წამებით სავსე, სახელად „ავაზაკობა სომხეთში“. ამ წერილებში იწერება, ვითომ თათრის ბეგებსა და აღებს, რადგანაც ჩერქეზებში ველარ შოულობენ ტყვე ქალებს, ძალად მიჰყავთ სომხის ქალები თავის ჰარამხანისათვის და ამაში ვითომ ადგილობრივი მთავრობაც მონაწილეობას იღებს. სწერენ, ვითომ მშვიდობიანობა სომხებსა და ქურთებს შორის მოისპო ერთმანეთის მტრობით, რომ ქურთები სომხებსა ჰხოცვენ, რომ ვანის ქალაქში ბევრი სომეხი დაუმწყვდევიათ და ამ გვარის მდგომარეობის ასაცილებლად საჭიროა საჩქაროდ ჯეროვანი ღონისძიება იქნას მიღებულიო. ამ წერილებმა სხვა-და-სხვა წრეებსა და კრებებში მრავალ გვარი მსჯელობა ასტეხა. მოხსენებული წერილები სრულიად უსაფუძვლონი არიან. არც ერთი სომხის ქალი არც ერთს ბეგს და აღას, არამც თუ ძალით, ნებითაც-კი არ წაუყვანია. ჩვენი ვაჭრობა ოსმალებთანა და ქურთებთან სწარმოებს, როგორც ერთ თანამემამულეებს შეეფერება, და საკუთრების მფლობელობასა და სხვა უფლებაში თანასწორობა არსებობს. ჩვენში არ მოხდება წინააღმდეგობა და პირის-პირობა. დამწყვდევის შესახებ ჩვენ არა გვსმენია-რა. აგრეთვე არა გვსმენია-რა, რომ მომხდარიყოს სადმე ავაზაკობა და ძალ-მომრეობა. ამ ცრუ წერილების განზრახვა ის არის, რომ გულგრილობა ჩამოაგდოს მეგობარ სახელმწიფოთა და იმათ ერთა შორის ოსმალეთისადმი და განაშოროს თქვენის დიდებულების მფარველობასაგან სომეხთა ქვეშევრდომთა იმედი და სასოება. თქვენთა სომეხ ქვეშევრდომთა იმედი და სასოება შეკავშირებულია თქვენის დიდებულების წყალობასთან. იმათ არა ჰსურთ სხვას ვისმე მიმართონ და არც ეპირებათ. აქ სუფევს სრული მშვიდობა და წესიერება. ვალი (გენერალ გუბერნატორი) ჩვენის ვილაიათისა, ხალილ-ბეი, ერთგული, სამართლიანი, მხნე და შორსმხედველი კაცია. იმისი მეცადინეობა და მზრუნველობა მშვიდობისათვის, აგრეთვე სამართლიანი იმისი განკარგულება, როდესაც მცირეოდე ბოროტ-მოქმედება ხდება, ვალად ჰხდის თქვენს ქვეშევრდომ სომხებს თქვენის სიცოცხლისათვის ილოცონ, არამც თუ გაზეთების ზემოხსენებული ცნობები ავაზაკობაზე ხდებოდეს. ამიტომ გაზეთების ზემოხსენებულ ცნობების გასამტყუნებლად და თქვენის დიდებულებისადმი ჩვენის ქვეშევრდომობის დასამტკიცებლად ჩვენ მთელის ვანის ვილაიათის სომხობის მხრით გევედრებით მიიღოთ ეს ჩვენი სათხოვარი“. პირველად ხელი უწერია ამ ტელეგრამაზე სტეფანე მღვდელსა და მას შემდეგ სხვათა. ამ დეპეშის პირი სტამბოლში გაუგზავნიათ თათრულ გაზეთ „თარიკისათვის“ და შემდეგ ეს დეპეშა დაბეჭდილია სტამბოლის ყველა გაზეთში.

აი რა გვარი არეულ-დარეული ამბები მოდის ოსმალოს სომხეთიდამ. შესანიშნავია, რომ ოსმალოს მთავრობამ გაზეთებს აუკრძალა ოსმალოს სომხეთის სახელის ხსენება: ამის მაგივრად ქურთისტანი იხმარეთო. მთავრობა სტამბოლის სომხურ გაზეთებს მალ-მალე სასჯელში აგდებს, ხან-და-ხან მთელის კვირაობითა და თთვეობით ხან სრულებით აეკრძალავს ხოლმე და ბეჭდვის ნებას არ აძლევს. ხვანთქრის მთავრობა ისე სდევნის სომხურ გაზეთებს...

სვანების ტყე-ღრეებში შლიგინმა საბალახოს ასაკრებად. ყველა ის ცხვრები, რაც დიდის ვაი-ვაგლახით მოკრიფეს სვანებმა ჩვენის შემწეობით, ხელ-უხლებლად დაიბრუნეს თავიანთ პატრონებმა. ჩვენ ცარიელ-ტარიელი მივდიოდით აფხაზეთ-სამურზაყანოს მთებიდგან, პირში ჩალა-გამოვლებული. მაგრამ ვილას ახსოვს ეს, რაკი სიკვდილს გადავრჩით. ბინიდამ ენგურის პირამდე სულ ტყიან დაღმართში ვიარეთ. სვანების სიტყვით გამოვხატავ ამ გზის სისაძაგლეს: «ამ გზამ ჩვენი სისხლი ჩვენისავე ხელით გვასვა» [1]). სხვა-და-სხვა ეკალ გვარ ხე-ბუჩქებმა სულ დაგვისარეს ცხვირ-პირი, ხელები, შემოგვახიეს ტანსაცმელი, წაგვიხდინეს ცხენის იარაღი. საღამოს 10 საათზე მივედით ტყა-ბედნიერს. აქ ერთი მეგრელი აზნაურიშვილი უტუ ქანტურია სცხოვრობს. მოხუცი შინ არ იყო. იმის მაგიერობა ორმა შვილმა გაგვიწია. ეს ადგილი უტუს ნაჩუქარი აქვს მურზაყან დადიშქელიანისაგან. უტუ მურზაყანის სახლში ყოფილა გამოზრდილი. იმან და იმისმა შვილებმა კარგად იციან სვანური. უტუ ეხლაც მომეტებულად სვანეთში სცხოვრობს თ. თენგიზისას. იმან ბევრი რამ იცის ძველი ამბები (მე კარგად ვიცნობ უტუს), მაგრამ ხათაისაა, რომ ვერასფერს გამოსტყუებ, მაგრად ინახავს რომელიღაც შავის დღისათვის. 16 სექტემბერს ტყა-ბედნიერს მოვიდა თ. მ. დადიანი. კომისიას აზრად ჰქონდა ამ გზობას დაეთავებინა საზღვრების დანიშვნა სამეგრელოს მხრიდაც, მაგრამ ვერ მოასწრო და გადასდო მერმისისათვის. თ. დადიანიც ამ მიზეზით იყო კომისიისაგან აქ ნახმობი. სადილი ტყა-ბედნიერს ვჭამეთ და საღამოს სოფ. ფურეშს წავედით. როგორც ტყა-ბედნიერი, ისე ფურეშიც ჯვარის საზოგადოებაშია. აქ კომისია უნდა დაშლილიყო. სამი იმისი წევრი ზუგდიდით მიდიოდა ქუთაისს, მე ქუთაისს წასვლამდე სახლში უნდა გამეარნა და ამისთვის ისევ სვანეთს უნდა დავბრუნებულიყავი ენგურის ხეობით. მე მომყვებოდნენ ყველა სვანებიც. კომისიის წევრებს ჯორცხენები აქედამ სვანეთს უნდა დაებრუნებინათ და მაგიერად აქ უნდა ეშოვათ. აქ მამასახლისის თანაშემწე სცხოვრობდა და იმას ებრძანა ცხენების შოვნა. სოფლად ცხენები არსად იყო და ჯვარიდგან უნდა მოეყვანათ. ვახშმად ფურეშს დავრჩით. სვანები მუქთად თხოულობდნენ სოფლისაგან ვახშამს, რადგანაც ეს ფურეშლებს ბეგარად აღევთო. კომისია ამას არ ეთანხმებოდა და კინაღამ ერთი უსიამოვნება შეგვიდგა. ეგენი ჩვენს მიწაზე სცხოვრობენ, ეუბნებოდნენ ჯ—ძეს სვანები: სხვა ბეგარა არაფერი აღევთ და როცა სვანი მოვა აქ, ბინა და ხარჯი უნდა მისცენო. განსაკუთრებით თავი გამოიდვა ამაზე ლახმულდელმა ვიცბი ჰკადუამ, რომელიც ამ სოფელში შეგვხვდა. ეს ვიცბი ჰკადუა კაცის მკვლელი იყო. იმას მთავრობა დაეძებდა დასაჭერად. ვინც მაგ ჰკადუას საქმე იცოდა, ყველანი, და იმათში ადგილობრივი მოსამსახურე კაცებიც, ამართლებდნენ და კიდეც ამიტომ არავინ იჭერდა. 17 სექტემბერს ჩვენ, რომელნიც სვანეთს ვბრუნდებით, გადავედივართ ენგურის მარცხენა ნაპირზე. ცხენ-ჯორები ენგურში გადაგვყავს და ჩვენ ქვეითები ბონდის ხიდზე გადავედივართ. ქუთაისს წამსვლელებს აქ ვსტოვებთ—ფურეშს, ცხენების მოლოდინში. მივდივართ ხუდონს. ვნახე მურზაყანის ნამოსახლარი. აქედამ ცხენ-ჯორებს, ერთის გარდა, მთით ვატანთ ოთხს სვანს. მე და დანარჩენი სვანები ქვეითად მივდივართ სვანეთს ენგურის ხეობით, ან, რაც ერთი და იგივეა, ლენხერით. 18-ს ხუბერს მივედით. აქ ერთს მეგრელს 2,000 სკა უდგია. რა-კი ეს ადგილი მურზაყანისა იყო, ამისათვის თენგიზი იღებს თითო სკაზე ორ შაურს. სვანები თაფლს თხოულობდნენ სასყიდლად და საჭმელად ზოგს ფასით და ზოგს უფასოდ. მეგრელი უფასოდ მიცემაზე უარს ამბობს. სვანები ძალით სტეხენ ერთს სკას და გამოლოკენ. ბარე ორმა სვანმა ერთ ფუთამდე თაფლში, რომელიც სახლში მიაქვთ, ფული მისცეს. რას უშვრებიან თაფლს სვანები? თაფლ-წყალიდამ სვანები ერთნაირს სასმელს აკეთებენ, სახელდობრ „რანგ“-ს, რომელიც, თუ კარგა დადგა, ფუცხუნა მაჭარსა ჰგავს და კაცსაც ათრობს. ამ სასმელის ისტორია ისეთივე ძველის-ძველი ამბავია, როგორც პურების მოხარშვა წყალში, გამოცხობის მაგიერ. 19-ს წვიმაა. ჩვენი გზა ენგურის მარცხენა ნაპირს მიჰყვება. საძაგელი გზა არის. ყოველ ნაბიჯზე ლახმულდელები გვხვდებიან, მოდიან ლენხერაში თაფლის საყიდლად. ღამე ნაძ ქვეშ გავატარეთ. 20-ს იფარს მოვაწიეთ და 21-ს ეცერს. აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო სია იმ ადგილებისა, სადაც ძველად სვანებს უცხოვრიათ ენგურის ხეობაში სვანეთსა და სამეგრელოს შუა. აი ეს ადგილები: 1) ხუბერი, 2) იდლიანი, 3) ნაქოლვარ-ხაიშდი, 4) ვედი, 5) იფარი, 6) კალედი, 7) ჭუბერიან-მაშრიჭალა, 8) დუსი, 9) ხიდარი და 10) ჭაბანი. ამ ჩამოთვლილს ადგილებში არის ოთხი დანგრეული ეკკლესია, ორი წმ. გიორგის სახელზე, ერთი მთავარ-ანგელოზის და ერთიც მაცხოვრისა. დღეს, ე. ი. 1878 წ., ამ ადგილებში სცხოვრობს ექვსი მოსახლე სვანი. ყველა ადგილებში ბევრი სახლის ნანგრევია, იფარში-კი ამას გარდა აღმოჩნდა წყლის გასაყვანი აგურის მილები.

თავ. სვანი

18 $^{78}/_{89}$ წ.

[1]) გვიშგვა ზისხ გვიშგვა შიგშ. ლოგვაშ.

თებს, რომ ოსმალოს საზღვარ გარეთაც-კი გამოსულების შეჩერება უნდა.

# უცხოეთი

საფრანგეთი. რესპუბლიკელთა ამხანაგობის წვეულებაზე ჟულ ფერის უთქვამს, რომ კონსტიტუციის გადათვალიერება დიდი ახირებაა რადიკალების მხრითაო. თუ გნებავთ, ეს ამბავი ჩვენს სატკივარსა და ავადმყოფობას მოასწავებსო. რაიცა შეეხება ესრედ წოდებულ დამფუძნებელ კრების შემოღებას, ეგ ხომ დიდი და დიდი შეცდომაა, მომასწავებელი ანარხიისა და დიქტატურისა. მე რომ მკითხოთ, გადათვალიერება უნდა პალატას და არა სენატს. პალატა მეტად მრავალ-წევროვანი დაწესებულებაა და მეტად დიდი ხანიც არის, რაც უცვლელად არსებობს. საჭიროა გადათვალიერებულ იქმნას ის წესი, რა წესითაც პალატა მუშაობს და მოქმედობს, რადგან ეს წესი არ ვარგა; საჭიროა შეიცვალოს იმისი აზრები, იმიტომ-რომ ის აზრები მართალი და ჭეშმარიტი არ არის. პალატას ასე ჰგონია, რომ მე ვარ ერთად-ერთი კრებაო და თავი ისე უჭირავს, თითქო პატარა კონვენტი იყოს. მერე როდის უჭირავს ასე თავი? მაშინ, როცა დღევანდელი კონსტიტუცია ამბობს, რომ პალატასა და სენატს ერთ ნაირი ძალა და უფლება აქვსო. ჩვენთვის საჭიროა უფრო რიხიანი და მხნე აღმასრულებელი მთავრობა, უფრო გამბედავი და ნაკლებ დაჩრდილული, მიფუჩეჩებული სენატი, ცოტა ფრთა-შეკვეცილი პალატა, რომ თავის მეზობლებს არ ედავებოდეს უფლებასა და ძალას. ყოველივე ესე ადვილად მოხერხდება კონსტიტუციის ხელ-შეუხებლადაც. საჭიროა მხოლოდ კონსტიტუციას ისე გამოვიყენებდეთ, როგორც რიგიაო. შემდეგ ფერიმ სარწმუნოების შესახებაც ილაპარაკა. ჩვენ ვეომებით კატოლიციზმსა, მაგრამ ომი ვერაფერი წესია გამგეობისა. ომს იმიტომ იწყებენ, რომ მშვიდობა დამყარდეს. მხოლოდ შეწყნარების სისტემა გვაძლევს ღონისძიებას, რომ მშვიდობიანად მოთავსდეს ერთმანეთის ახლო ორი შეურიგებელი მოძღვრება. ხოლო წესი და ჩვეულება შეწყნარებისა თეორიული საგანი-კი არ არის, პრაქტიკულის ცხოვრების საგანია. თუ ამ თვალით შეჰხედავთ თქვენ სარწმუნოებათა ბიუჯეტს, უნდა გირჩიოთ, რომ ხელს ნუ ახლებთ იმ ბიუჯეტს. ვიდრე ხელს არ ახლებთ, სარწმუნოებრივი მშვიდობა დამყარებული იქნება, თუმცა არა ისეთი მშვიდობა, როგორსაც ნატრობენ კლერიკალები, მაგრამ ისეთი მაინც, როგორიც მშვიდობიანს მოქალაქეებს უნდათ და სწყურიანთო. ბოლოს ფერიმ გადაჰკრა ბულანჟელებს და სახელოვანთა მამა-პაპათა ხსენების სადღეგრძელო დალია. ნამინისტრალის მეგობრებს ფერის სიტყვა ძრიელ მოსწონებოდათ და დიდხანს ეკრათ იმისთვის ტაში...

# დეპეშა

15 ივნისი

კრუშევაცი. აქ მეფეს ალტაცებით მიეგებნენ. სადღესასწაულო ალაყაფის კარზე სწერია სახელწოდება ძველის სერბიის სამეფოს ყველა ქვეყნისა. მეფეს ყვავილებსა და ყვავილის გვირგვინებს უფენდნენ ფეხ-ქვეშ. მეფეს ლაზარეს ეკკლესიაში მიეგება მიტროპოლიტი მიხეილი, ეპისკოპოსი იერონიმე და სასულიეროება, შეკრებული იმ სოფლის ეკკლესიებიდამ და მონასტრებიდამ, რომელნიც მეფე ლაზარეს დროს ყოფილან. კოსსოვის დღესასწაული დაიწყო მწუხრის გადახდით და ღამის თევით. ქალაქი მორთულია სამგლოვიარო ბაირაღებით. ხალხი დიდ-ძალი მოგროვდა. ბევრნი არიან უცხოელნიც.

ვენა. კოსსოვის დღესასწაული აღკრძალეს ვენგრიასა და ხორვატიაში, იმიტომ-რომ ამ დღესასწაულის გამოდემონსტრაციებს აპირობდნენ დიდის სერბიის დაარსების აზრითაო. პეტრვარდეინიდამ გაგზავნეს ჯარები რავანიცას მონასტერში იმ უწესოების ასაცილებლად, რომელიც შესაძლოა მოხდეს მეფე ლაზარეს საფლავზედაო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისი

| | მყიდველნი ჰსა. | გამყიდვე-ლისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

17 დღე შაბათი. წმ. მოწამეთა მანუილ, საბაილ და ისმაილისა. კათოლ. წმ. მარციანესი. სომეხ. წმ. პატრიარხის ნერსესისა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38 მთვარე 30 დღისაა.

18 დღე კვირა. წმ. მოწ. ლეონტისა. კათოლ. წმ. მარცელონესი. სომეხ. დაწყება წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. მაჰმად. მე-2 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 1 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. წმ. მოციქულისა იუდასი, ძმისა უფლისა. კათოლ. წმ. პროტაზიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-3 რიცხვი ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 2 დღისაა.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . | ,, | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |

შაბათს, 17 ივნისს,

ნემეცის ბაღში (მიხეილის ქუჩაზე) ქართველ მომღერალთა ხორო გაჰმართავს საგანგებოდ ამორჩეულის სიმღერების

კონცერტს

არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით.

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—29) ა. თუთაევი

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოის საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპოპომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და საააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: საააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრინვაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—24)

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ 16-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე